

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში

2023

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში

2023

ავტორი: გიორგი კაკუბავა

საოკუპაციო გამყოფ ხაზებთან მონიტორინგის ვიზიტებში მონაწილეობდნენ:

ალექსი მერებაშვილი, გიორგი კაკუბავა, უჩა ნანუაშვილი.

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC) www.coalitionfortheicc.org

Norwegian Helsinki Committee

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის პოზიციას. შესაბამისად, ივი არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 5

ვიზიტების შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები 5

ვიზიტი გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში 8

ვიზიტი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში 9

ვიზიტი კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში 10

ვიზიტი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში 12

რეკომენდაციები 13

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში მიმოხილული და გაანალიზებულია 2023 წლის აპრილის თვიდან 2023 წლის სექტემბრის თვემდე ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიასა და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიას შორის გამყოფი ხაზების მახლობლად მდებარე სოფლებში.

წინამდებარე ანგარიში ეხება რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო, გამყოფი ხაზების მახლობლად საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევების სხვადასხვა ფაქტებს: უკანონო ბორდერიზაციას, ადგილობრივი მოსახლეობის ბუნებრივ რესურსებზე წვდომის შეზღუდვას, საკუთრების უფლების დარღვევებს და იმ სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესებას, რაც გამოიწვია ოკუპაციამ.

პროექტის ფარგლებში ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა საოკუპაციო ხაზთან მდებარე 18 სოფელი მოინახულეს.

ვიზიტების შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები პროექტის განმავლობაში გასვლითი ვიზიტებით იმყოფებოდნენ კონფლიქტისპირა სოფლებში, სადაც შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მოისმინეს საოკუპაციო, გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოქალაქეების პრობლემები.

<u>დაგეგმილი ვიზიტების განმავლობაში, ორგანიზაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ გორის, ქარელისა და კასპის მუნიციპალიტეტებში, კერძოდ კი, შემდეგ სოფლებში: ქვეში, ფლავი, ფლავისმანი, კარბი, ქერე, ქვემო არცევი, ერგნეთი, ყარაფილა, სირიბარი, ზარდიანთკარი, ატოცი, ავლევი, კნოლევი, კოდა, აბანო, ჭვრინისი, გულიკაანთუბანი, ბრეძა.</u> ორგანიზაციის წარმომადგენლები ვიზიტების ფარგლებში შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მოინახულეს ის ადგილები, სადაც უსაფრთხო იყო გადაადგილება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ყოველი ვიზიტის შემდეგ ადგილობრივი მაცხოვრებელების პრობლემების და ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების შემდეგ პროაქტიულად მიმართავდა იდენტიფიცირებული პრობლემების მოგვარების მიზნით, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებას. ამასთან, ორგანიზაციამ პროექტის ფარგლებში გამოითხოვა არაერთი საჯარო ინფორმაცია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოკუპაციით გამოწვეულ უსაფრთხოების პრობლემებთან ერთად, ადგილობრივები საუბრისას მიუთითებდნენ სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებზე. **მხედველობაშია მისაღები, რომ სიდუხჭირის გამო ახალგაზრდები ტოვებენ სოფლებს და მიდიან ემიგრაციაში. სოფლებში დარჩენილ ახალგაზრდებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ არაერთი ახალგაზრდა სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, ახლო მომავალში გეგმავს ემიგრაციაში წასვლას.** ზემოაღნიშნულ სოფლებში მოსახლეობისთვის ძირითადი შემოსავლის წყარო მიწათმოქმედება და მეცხოველეობაა. მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც სოფლის მეურნეობითაა დაკავებული, ოკუპაციის გამო სხვადასხვა სახის პრობლემები აქვს. საქართველოს ტერიტორიაზე მცოცავმა ოკუპაციამ არსებითად შეზღუდა მოსახლეობის წვდომა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე, ტყესა და საძოვრებზე, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას და ნეგატიურად აისახება ადგილობრივ მოქალაქეთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მცირე ნაწილს, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეა დარჩენილი, მოსახლეობის ნაწილი სრულყოფილად ვერ იყენებს, რადგან მომეტებული საფრთხის მატარებელია გამყოფ ხაზთან მიწის დამუშავება. ასევე, რიგ შემთხვევებში, მიწების დამუშავებას ხელს უშლის გაუმართავი სარწყავი წყლის სისტემა. **ვიზიტების ფარგლებში გამოიკვეთა ინფრასტრუქტურული პრობლემებიც, რომლის მოგვარება გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობისთვის კრიტიულად მნიშვნელოვანია.**

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მწვავე პრობლემას წარმოადგენს ადეკვატურ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა. მიუხედავად იმისა, რომ სოფლების მცირე ნაწილში განთავსებულია ამბულატორიები, ადგილობრივები მაინც ვერ იღებენ სრულყოფილ სამედიცინო მომსახურებას. ამბულატორიებში დასაქმებული ექიმები ყოველდღიურად არ მუშაობენ, რაც ადგილობრივებს იძულებულს ხდის, რომ უახლოეს ქალაქში წავიდნენ ექიმთან კონულტაციის მიზნით. ასევე, ექიმთან ვიზიტს ართულებს მუნიციპალური ტრანსპორტის გაუმართავი მუშაობა რიგ სოფლებში. ერთ-ერთ პრობლემად გამოიკვეთა სოფლებში აფთიაქის არარსებობა. შეხვედრისას ადგილობრივები აღნიშნავდნენ რომ პირველადი მოხმარების მედიკამენტებისთვის უწევთ უახლოეს ქალაქებში გადაადგილება, რაც დამატებით ხარჯებთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ცენტრის წარმომადგენლებმა ვიზიტის ფარგლებში აღმოაჩინეს, რომ მოუწესრიგებელია შიდა საუბნო ქუჩები, რაც მოსახლეობას წვიმიან ამინდში გადაადგილებაში უშლის ხელს. რიგ სოფლებში არ არის განათების სისტემა დამონტაჟებული.

ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა სოფლებისთვის მაღალმთიანი სტატუსის მინიჭების საკითხი. მოსახლეობისთვის უცნობია, რა კრიტერიუმებით ხდება სტატუსის განსაზღვრა და რატომ არ სარგებლობენ ადგილობრივები მაღალმთიანი რეგიონებისთვის კანონით განსაზღვრული შეღავათებით[1]. სოფლის რომელი წერლტილებიდან ხდება სიმაღლის აზომვა და დადგენა, მოსახლეობისთვის უცნობია.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებმა იმუშაონ კოორდინირებულად და პროაქტიულად. ასევე, მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ მოსახლეობასთან და აწარმოონ მათთან აქტიური კომუნიკაცია/შეხვედრები. მცოცავი ოკუპაციიდან გამომდინარე, საფრთხეების გათვალისწინებით, ამ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა განსაკუთრებით პრიორიტეტული უნდა გახდეს. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ახლგაზრდების დასაქმება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივების ქვეყანაში დარჩენას.

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების მაცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ თავს, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ადგილობრივებს აკავებენ და იტაცებენ. გლეხებს საძოვრებზე ვერ გაჰყავთ პირუტყვი, რადგან საოკუპაციო ხაზთან მისვლის ეშინიათ. ასევე, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელში არ არის პოლიციის საგუშაგოები, რაც კიდევ უფრო საფრთხის შემცველად მიაჩნიათ ადგილობრივებს.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში ვიზიტისას, ორგანიზაციის წარმომადგენლები წინასწარი ნებართვის გარეშე ვერ ახერხებენ გადაადგილებას. სოფლებში შესვლის ნებართვის მოპოვების მიზნით, სამართალდამცავი პირები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს წინასწარი შეტყობინების წარდგენას სთხოვენ ძალოვან უწყებებში. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეტყობინება ოფიციალური სახით არ არის წარდგენილი, შესაძლოა, ვიზიტორები დააყოვნონ ადგილზე და არ მისცენ გადაადგილების საშუალება. მოთხოვნა ეხება იმ სოფლებს, რომელთა შესასვლელში პოლიციის საგუშაგოა განლაგებული. ასევე, პოლიციის თანამშრომლები გადაადგილების პროცესში მიჰყვებიან ავტომობილით არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

[1] იხ. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების“ შესახებ საქართველოს კანონი

ვიზიტი გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში

2023 წლის 28 აპრილს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ გორის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში კერძოდ: ქვემო არცევი, ქვეში, ფლავისმანი, ფლავი, ქერე და კარბი. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ადგილობრივებთან გასაუბრების შედეგად მიიღეს ინფორმაცია სოფლებში არსებული ძირითადი პრობლემებისა და მაცხოვრებელთა წუხილების შესახებ. შეხვედრის შედეგად გამოირკვა, რომ მოსახლეობა, ოკუპაციით გამოწვეულ პრობლემებთან ერთად, სხვა სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების წინაშეც დგას.

ზემოაღნიშნულ სოფლებში რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გარდა მკვეთრად გამოიკვეთა სტუდენტების კანონით დადგენილი დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემა. ადგილობრივების განმარტებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც გამყოფ ხაზთან მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსება პრობლემური გახდა. მათი განმარტებით, პროგრამაში მონაწილეობა ვერ მიიღო ათობით სტუდენტმა.

სოფელ ქვემო არცევის მოსახლეობის ძირითად წუხილს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სოფელს არ მიიჩნევენ საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლად და არც მაღალმთიანი დასახლების სტატუსი გააჩნია. ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა ინფრასტრუქტურული პრობლემები, კერძოდ: სოფელში საბავშვო ბაღი გაუქმდა და შეუერთდა სოფელ ქვეშის საბავშვო ბაღს; მოსაწესრიგებელია შიდა გზები; ამბულატორია განთავსებულია სოფლიდან მოშორებით და ადგილობრივებს უჭირთ მისვლა; ასევე აღნიშნეს, რომ სკვერი მოწყობილია დაბლობ ადგილზე და წვიმიან ამინდში იტბორება და ზიანდება.

სოფელ ქვეშში ძირითადად დასახელდა სარწყავი წყლის პრობლემა. ადგილობრივების განმარტებით, წყლის გამშვები ფარები მოქცეულია ე.წ. „ნეიტრალურ ზონაში“ და იქ შესვლის შემთხვევაში, საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები აკავებენ ადამიანებს. ამ საფრთხის მიუხედავად, მაინც უწევთ რისკზე წასვლა, რათა მოიყვანონ მოსავალი და არ დარჩნენ შემოსავლის გარეშე. სასმელ წყალთან დაკავშირებით ადგილობრივებმა განმარტეს, რომ წყალი მიეწოდებათ გრაფიკით.

სოფლებში ფლავსა და ფლავისმანში ძირითად პრობლემად დასახელდა ტრანსპორტის გრაფიკის არარსებობა. მისი განსაზღვრა დამოკიდებულია სატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრეების გადაწყვეტილებაზე.

სოფელ ქერეში ძირითად პრობლემად დასახელდა საბავშვო ბაღის არარსებობა და შიდა გზების მოუწესრიგებლობა. ადგილობრივები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ახალგახსნილი სკოლით და სურდათ, რომ სოფელში გაკეთებულიყო საბავშვო ბაღიც.

სოფელ კარბში, მსგავსად ფლავისმანისა, ძირითად პრობლემად დასახელდა ტრანსპორტის გრაფიკი, რის გამოც ადგილობრივებს ხელი ეშლებათ დასაქმებაში. პრობლემური აღმოჩნდა წყალმომარაგების საკითხიც. ადგილობრივების განცხადებით, არ არის მოწესრიგებული სასმელი წყლის გადასახადის საკითხი.

აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, ორგანიზაციამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია[2]. ორგანიზაციას წერილის პასუხად ეცნობა, რომ ნებისმიერ გამყოფ ხაზთან მცხოვრებ სტუდენტს კანონით დადგენილი წესით შეუძლია ისარგებლოს პროგრამით და მიმართოს დაწესებულ ვადებში სამინისტროს განცხადებით, რათა მოიპოვოს დაფინანსება. ამასთან, სამინისტროს განმარტებით, იმ სტუდენტებმა, რომლებმაც ვერ მიიღეს დაფინანსება, დაგვიანებით შეავსეს განაცხადი.

ვიზიტი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში

2023 წლის 2 ივნისს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ქარელის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე შემდეგ სოფლებში: ატოცი, ავლევი და კნოლევი. შეხვედრის შედეგად გაირკვა, რომ მსგავსად სხვა სოფლებისა, მოსახლეობა ოკუპაციით გამოწვეულ პრობლემებთან ერთად სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების წინაშე დგანან.

სოფელ ატოცის მოსახლეობის მიერ დასახელდა რამდენიმე ინფრასტრუქტურული პრობლემა, კერძოდ: საბავშვო ბაღის, სპორტული სავარჯიშოების (ე.წ. ტრენაჟორების), საბავშვო გასართობი მოედნის და სატრანსპორტო მოსაცდელების არარსებობა. ამასთან, ადგილობრივების განმარტებით, არ მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ისინი აღნიშნავენ, რომ სოფელში 15:00 საათის შემდეგ გადაადგილებას ვერ ახერხებენ, რადგან არ მოძრაობს სამარშრუტო ტრანსპორტი. ამასთანავე, სოფელ ავლევში გამოიკვეთა მაღალმთიანი დასახლების სტატუსის არარსებობის და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის პრობლემები. ადგილობრივების განმარტებით, სოფელმა აუცილებელია, რომ მიიღოს სტატუსი, იმ პირობებში, როდესაც მეზობლად მდებარე სოფელ კნოლევს ასეთი სტატუსი აქვს. ადგილობრივები აღნიშნავენ, რომ არსებობს ყველა კრიტერიუმი, რაც მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მისანიჭებლად არის საჭირო.

[2] ადამიანის უფლებათა ცენტრის 15.05.2023 წლის წერილი

სოფელ კნოლევში, მსგავსად ატოცისა, ძირითად პრობლემად დასახელდა ტრანსპორტის მოუქნელი გრაფიკი, რის გამოც ადგილობრივებს ხელი ეშლებათ გადაადგილებაში და დასაქმებაში.

ვიზიტის შემდგომ ორგანიზაციამ მიმართა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა ინფორმაცია, არის თუ არა შესაბამისი პროექტები/პროგრამები დაგეგმილი ქარელის მუნიციპალიტეტში დასახელებული პრობლემების აღმოსაფხვრელად[3]. ამასთანავე, წერილი გაიგზავნა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, რომელიც ეხებოდა ავლევისათვის მაღალმთიანი სტატუსის მინიჭების მოთხოვნის საკითხს[4]. ასევე, ორგანიზაციამ მოკვლევის მიზნით გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რატომ მიიღო უარი სოფელმა სტატუსის მინიჭებაზე. ორგანიზაცია დაინტერესდა, აპირებს თუ არა რწმუნებული უახლოეს მომავალში ხელახლა დააყენოს საკითხი საბჭოს წინაშე. ცენტრმა ზემოაღნიშნულ საკითხზე მიიღო პასუხი, რომ ადმინისტრაციას მოთხოვნილი ჰქონდა სოფელ ავლევისათვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება, მაგრამ ჰიპსომეტრული სიმაღლის არასაკმარისობის გამო (ნაკლებია 800 მეტრზე), უარი ეთქვა სტატუსის მინიჭებაზე[5].

ვიზიტი კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში

2023 წლის 13 ივლისს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში: ყარაფილა, სარიბარი და ზადიანთკარი. ამ სოფლებშიც, მსგავსად საოკუპაციო ხაზთან მდებარე სხვა სოფლებისა, გამოიკვეთა მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რაც ნეგატიურად აისახება ოჯახების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. არსებული ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, სოფლებიდან აქტიურად მიდიან ახალგაზრდები.

ვიზიტის ფარგლებში მოსახლეობამ დაასახელა რამდენიმე ინფრასტრუქტურული პრობლემა, კერძოდ: საბავშვო გასართობი მოედნის, შიდა საუბნო განათებების, სანაგვე ურნების და სარწყავი წყლის არარსებობა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობაზე. ადგილობრივების განმარტებით, მოკლებული არიან შესაძლებლობას, რეგულარულად გადაადგილდნენ მუნიციპალური ცენტრის მიმართულებით. არც ერთ სოფელში არ არის ათთიაქი და ამბულატორია, ხოლო ტრანსპორტის არარსებობა ხანდაზმულ და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებს ტოვებს ჯანდაცვაზე სათანადო

[3] ადამიანის უფლებათა ცენტრის 06.06.2023 წლის წერილი
[4] ადამიანის უფლებათა ცენტრის 06.06.2023 წლის წერილი
[5] სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის 13.06.2023 წლის პასუხი

ხელმისაწვდომობის გარეშე. როგორც მოქალაქეებმა აღნიშნეს, სოფლებში არ არის საბავშვო ბაღი და სკოლა. ადგილობრივი მოსაწავლეები გადანაწილებული არიან სხვადასხვა მიმდებარე სოფლებში და მათ ემსახურებათ ტრანსპორტი. რაც შეეხება საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, მოზარდები ვერ სარგებლობენ ტრანსპორტის მომსახურებით და მშობლებს მათი წაყვანა მეზობლად მდებარე სოფელ რენეში საკუთარი ძალებით უწევთ, რაც გარკვეულ პრობლემებთან და დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

სოფელ ყარაფილასა და სარიბარში ზემოაღნიშნულ პრობლემებთან ერთად დასახელდა მაღალმთიანი დასახლების სტატუსის არარსებობა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. ადგილობრივების განმარტებით, მათ აქვთ დიდი სურვილი, დასახლებებმა მიიღონ ასეთი სტატუსი, მით უმეტეს, რომ მეზობლად მდებარე სოფელ ზადიანთკარს ასეთი სტატუსი აქვს. მიიჩნევენ, რომ ჰიფსომეტრული სიმაღლის გარდა, სოფლები აკმაყოფილებენ სტატუსისათვის მისანიჭებელ სხვა ყველა კრიტერიუმს და სტატუსი მათთვის იქნება მნიშვნელოვანი შეღავათი.

დასახლებებში გადაადგილებისას ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებს უწევდათ ეკითხათ ყოველ ჯერზე თუ რომელ სოფელში იმყოფებოდნენ, რადგან არ იყო დამონტაჟებული სოფლების აღმნიშვნელი აბრები (ფირნიში)

პროექტუს განმავლობაში ორგანიზაციამ მიმართა კასპის მუნიციალიტეტის მერიას და მოითხოვა ინფორმაცია. არის თუ არა შესაბამისი პროექტები/პროგრამები დაგეგმილი კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში კონკრეტულ სოფლებში მითითებული პრობლემების გადასაჭრელად, რა პროექტები და პროგრამებია გათვალისწინებული იდენტიფიცირებული პრობლემის მოსაგვარებლად და როდისთვის აპირებს მერია მათ გადაჭრას[6]. ამასთანავე, ორგანიზაციამ მოითხოვა ინფორმაცია, მიმართა თუ არა კასპის მუნიციპალიტეტმა მთის განვითარების ეროვნულ საბჭოს სოფელ ყარაფილასა და სარიბარისთვის საგამონაკლისო წესით (ჰიფსომეტრული სიმაღლის გათვალისწინების გარეშე) მაღალმთიანი სტატუსის მინიჭების მოთხოვნით ან აპირებს თუ არა მუნიციპალიტეტი უახლოეს მომავალში დააყენოს საკითხი საბჭოს წინაშე[7].

ორგანიზაციამ წერილის პასუხად მიიღო ინფორმაცია, რომ შესაბამისი მუნიციპალიტეტის მხრიდან დაწყებულია პრობლემებთან დაკავშირებით მუშაობა და შედეგების შესახებ ორგანიზაციას მიაწვდიან ინფორმაციას. რაც შეეხება მაღალმთიანი

[6] ადამიანის უფლებათა ცენტრის 19.07.2023 წლის წერილი
[7] ადამიანის უფლებათა ცენტრის 19.07.2023 წლის წერილი

სტატუსის მინიჭების საკითხს, ორგანიზაციას აცნობეს, რომ კონკრეტული დასახლებები ვერ აკმაყოფილებენ სტატუსის მისანიჭებლად არსებულ მოთხოვნებს[8].

ვიზიტი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში

2023 წლის 18 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ქარელის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში, კერძოდ - ბრეძა, კოდა, აბანო, ჭვრინისი, ატოცი (გულიკაანთუბანი). ვიზიტის ფარგლებში ადგილობრივებმა დაასახელეს უმუშევრობის პრობლემა. ასევე, მოუწესრიგებელია სარწყავი წლის სისტემა, რაც მეურნეებს არ აძლევს შესაძლებლობას, რომ მიწის ნაკვეთები დაამუშავონ და მოსავალი მოიყვანონ, რადგან გვალვების გამო მოსავალი უფუჭდებათ.

სოფელ აბანოში მოსახლეობამ ძირითად პრობლემად დაასახელა მაღალმთიანი დასახლების სტატუსის არარსებობა. ადგილობრივებს სურთ, რომ დასახლებამ მიიღოს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, რადგან მიიჩნევენ, რომ ისინი აკმაყოფილებენ სტატუსისათვის მისანიჭებელ კრიტერიუმებს და სტატუსი მათთვის იქნება მნიშვნელოვანი შეღავათი. დასახელდა რამდენიმე ინფრასტრუქტურული პრობლემაც, კერძოდ: სარწყავი და სასმელი წყლის არარსებობა; ამბულატორიის არარსებობა (სარგებლობენ სოფელ კოდაში არსებული ამბულატორიით); უხარისხო გარე განათება და სიჩქარმზღუდების არარსებობა ახლად მოწყობილ სკვერთან, რაც საფრთხეს უქმნის იქ მყოფი ბავშვების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სოფელ ჭვრინისში, მსგავსად აბანოსი, ძირითად პრობლემად დასახელდა მაღალმთიანი დასახლების სტატუსის არარსებობა. სოფელში არ არის ამბულატორია (სარგებლობენ სოფელ ბრეძის ამბულატორიით), არ დადის საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ვერ ახერხებენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მორწყვას, რაც პრობლემურია ადგილობრივებისთვის. ვიზიტის ფარგლებში **სოფელ ბრეძაშიც** ძირითად პრობლემად მაღალმთიანი დასახლების სტატუსის არარსებობა დასახელდა. გამოითქვა წუხილი სასმელი წყლის არარსებობის გამო.

სოფელ ატოცში (გულიკაანთუბანში) პრობლემად დასახელდა სანიაღვრე არხების არარსებობა/გაუმართაობა და სარწყავი წყლის არარსებობა დასახელდა.

სოფელ კოდაში ძირითად პრობლემად გამოიკვეთა სარწყავი წყლის არარსებობა. ასევე აღინიშნა, რომ ადგილობრივებმა რუსული ოკუპაციის გამო დაკარგეს წვდომა სასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, სანაცვლოდ კი

[8] კასპის მუნიციპალიტეტის მერიის 30.08.2023 წლის პასუხი

კომპენსაცია/მიწის ნაკვეთები მათ არ მიუღიათ. სოფელში არ არის მაღაზია და აფთიაქი, რაც ასევე პრობლემურია ადგილობრივებისთვის.

ორგანიზაციამ იდენტიფიცირებული პრობლემების შესახებ წერილობით მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტს და მოითხოვა შესაბამისი რეაგირება[9]. ამასთან, ცენტრმა წერილით მიმართა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების შესახებ რეაგირების შესახებ ინფორმაციის მოწოდების თაობაზე[10].

რეკომენდაციები

წინამდებარე დოკუმენტში ასახული რეკომენდაციების შესრულება აუცილებლობას წარმოადგენს ანგარიშში ხსენებულ სოფლებში მოსახლეობის სოციალური პრობლემებისა და უფლებების გაუმჯობესებისთვის.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- დროულად შეატყობინოს საოკუპაციო, გამყოფ ხაზთან მცხოვრებ სტუდენტებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის შესახებ ინფორმაცია. ამასთანავე, დაგვიანებული განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, მხედველობაში მიიღოს ობიექტური მიზეზი, რომლის საფუძველზეც სტუდენტები მიიღებენ დაფინანსებას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ქარელის მუნიციპალიტეტის მერიას:

- სოფელ აბანოსთვის, ჭვრინისისთვის, ბრეძასთვის, მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების საკითხის გადასაჭრელად მიმართონ საბჭოს, რათა მოსახლეობამ ისარგებლოს შემდგომში კანონით დადგენილი შეღავათებით;
- მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს სოფელ აბანოში სპორტული მოედნის და შესაბამის ადგილებში სიჩქარმზრუდების მოწყობა;
- მუნიციპალიტეტმა სოფელ აბანოში უზრუნველყოს სასმელი და სარწყავი სისტემების პრობლემების მოგვარება;
- სოფელ აბანოში განთავსდეს ამბულატორია შესაბამისი სპეციალისტის მომსახურებით;

[9] ადამიანის უფლებათა ცენტრის 21.09.2023 წლის წერილი
[10] ადამიანის უფლებათა ცენტრის 21.09.2023 წლის წერილი

- სოფელ ატოცში (გულიკაანთუბანში) და კოდაში მოსახლეობის უზრუნველყოფა მოხდეს სანიაღვრე არხების და სარწყავი წყლის გამართული მუშაობით ;

კასპის მუნიციპალიტეტის მერიას და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- სოფელ ყარაფილასა და სარიბარში მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების საკითხის გადასაჭრელად მიმართონ საბჭოს, რათა მოსახლეობამ ისარგებლოს შემდგომში კანონით დადგენილი შეღავათებით;

- სოფელ ყარაფილაში, სარიბარში და ზადიანთკარში განთავსდეს სოფლების აღმნიშვნელი აბრები (ფირნიში);

- სოფელ ყარაფილაში, სარიბარში და ზადიანთკარში დროულად მოხდეს საბავშვო გასართობი მოედნის, შიდა საუბნო განათებების, სანაგვე ურნების და სარწყავი წყლით უზრუნველყოფა.
- უზრუნველყოფილი იქნეს მოსახლეობის საზოგადოებრივ ტრანსპორტზე შეუფერხებელი წვდომა;
- აშენდეს საბავშვო ბაღი და ზოგადი განათლების დაწესებულება;

გორის მუნიციპალიტეტის მერიას:

- სოფელ ქვემო არცევში განთავსდეს საბავშვო ბაღი, რათა სკოლამდელ აღსაზრდელებს არ მოუწიოთ მეზობელ სოფელში სიარული;
- სოფელ ქვემო არცევისთვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების საკითხის გადასაჭრელად მიმართონ საბჭოს, რათა მოსახლეობამ ისარგებლოს შემდგომში კანონით დადგენილი შეღავათებით;

- სოფელი კარბის და ფლავისმანის, მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნას საზოგადოებრივი ტრანსპორტით, რათა ადგილობრივებს არ შეექმნათ ხელოვნური ბარიერი გადაადგილებაში და დასაქმებაში.